
პირველადი ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

დუტუ მეგრელის ქუჩის №1-5
არსებული განაშენიანების შესახებ



თბილისი
2013

საკვლევი ტერიტორია ავლაბრში მდებარეობს. თბილისის ერთ-ერთი ისტორიული ნაწილი, (ისან-ავლაბრი), აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების დროს (1795 წ.), თითქმის მთლიანად განადგურდა. ავლაბარი XVIII საუკუნეში, ერეკლე II-ის დროს შემოიზღუდა გალავნით. ავლაბრის დაგეგმარება ძირითადად შუასაუკუნოვან ქუჩათა ქსელს ეყრდნობა, რომელიც თბილისის სხვა ნაწილებისგან განსხვავებით, იმთავითვე ერთგვარი რეგულარულობით გამოირჩეოდა. ძირითადი ქუჩები მეტეხის კლდის სწვრივის პარალელურად გადიოდა, მთავარი ქუჩა (დღევანდელი მეტეხის ქ.), კი მათ ირიბად ჰკვეთდა.



1913 წ. რუკა

მიუხედავად იმისა, რომ ამ უბანმა ბევრი ცვლილება განიცადა, დღემდეა შემორჩენილი ფეოდალური ქალაქის ქუჩათა ქსელი (იხ. რუკები) და ძველი განაშენიანების კვალი, – ისტორიული ციხესიმაგრის ნაშთები, გვიანფეოდალური პერიოდის დამცავი კედლები, XIX-XX სს-ის საცხოვრებელი სახლები, ძველი სარდაფები და სხვა. შენარჩუნებულია განაშენიანების მასშტაბი და თავისებურებები. უბნის არქიტექტურულ-მხატვრული დომინანტი მეტეხის აღმართის, მეტეხის კლდის, მეტეხის ქუჩისა და ჯორბენაძის ქუჩათა განაშენიანებაა, რომელიც განსაზღვრავს ქალაქის ამ ნაწილის მხატვრულ-


არქიტექტურულ სახეს. ამავე დროს მას ზოგადად, ქალაქისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ უბანზე იშლება ვრცელი პანორამა თბილისის სხვადასხვა კუთხიდან. ყოველივე ზემოთქმულის გამო მეტად მნიშვნელოვანია უბნისა და მისი განაშენიანების პრინციპების შენარჩუნება და დაცვა.



ისან-ავლაბრის ისტორიულ ქუჩათა რიგს მიეკუთვნება დუტუ მეგრელის (ყოფილი სურფ-მინასის) ქუჩაც. ეს საკმაოდ ვიწრო ქუჩა სანაპიროს პარალელურად და ღვინის აღმართის პერპენდიკულარულად (ე. ი. კლდის სწვრივის პარალელურადაც) ვითარდება.


ეს განაშენიანება XIX საუკუნის ბოლოსათვის თითქმის ისეთ სახეს ატარებდა, როგორც დღეს (ვგულისხმობ მასშტაბს და ძირითადი ნაგებობების მხატვრულ სახეს) იმ განსხვავებით, რომ კლდის დამრეცი ფერდობის ქვემოთ მდებარე რიყის დღეს ცარიელი სივრცე მჭიდროდ იყო განაშენიანებული.





საარქივო ფოტომასალაზე კარგად ჩანს, რომ XIX საუკუნის მიწურულისთვის არსებული განაშენიანება ჯერ კიდევ ვითარდებოდა, მაგრამ მთლიანობაში ის უკვე ფარავდა რიყის მიმდებარე კლდის ბაქანს.

სახლების განაშენიანების მორფოლოგია ძველი ქალაქისთვის ტიპურ მჭიდროდ შეკავშირებულ ორ-სამსართულიანი ნაგებობისაგან შედგებოდა.



ამჟამად ძველი უბნების განვითარება - რეაბილიტაციის პროცესში თბილისის ამ ნაწილმაც განიცადა მკვეთრი ცვლილება, რაც უპირველესად რიყეს განაშენიანებას შეეხო. XX საუკინის მეორე ნახევრიდან ძველი ქალქის ეს

ძალზედ სახასიათო ტერიტორია შეეწირა სანაპიროების გაფართოების პროცესს და XX საუკინის ბოლოსათვის კლდის მიმდებარე მონაკვეთი ქაოტურად იყო გაშენებული რესტორინებითა და კაფეებით. უკანასკნელ წლებში მოხერხდა რიყის სივრცის განთავისუფლება უკანონო და ხშირად არქიტექტურულად ყოვლად მიუღებელი ნაგებობებისაგან, რაც განპირობებული იყო რიყეს განაშენიანების კონცეფციის შემუშავების თვალსაზრისით, მაგრამ სადღეისოდ




ერთიანი გეგმარებითი პროექტის არარსებობის პირობებშიც ვხედავთ რიყეზე გაჩენილ ახალ „კანონიერ“ ნაგებობებს, რაც საფუძვლიანად ცვლის ამ ტერიტორიისადმი მინიჭებულ ძეგლთა დაცვით კრიტერიუმებს.


ისტორიული რუკების დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებისას ირკვევა, რომ ამ მიკროუბანში განაშენიანება ბევრად უფრო მთლიანი და შეკრული იყო და მას არ ახასიათებდა ცარიელი ადგილები. ამასთან კლდის სწვრივზე არსებული განაშენიანების პარალელურად კლდის ძირში გადიოდა ე.წ. „პესკის“ ქუჩა, რომელიც დღეს აღარ არსებობს. ის სურათი, რომელსაც ბოლო დრომდე ძველი ქალაქის ამ მიკროუბანში ვხედავდით, ძირითადად XX საუკუნის 70-იან წლებში თბილისის რეკონსტრუქციის შედეგია. ნაგებობის უმეტესობას შეცვლილი აქვს ფასადის ნაწილი: მიმატებულია ხის რუკულებიანი აივნები, ნალესი დეკორატიული ელემენტები და შუშაბანდები.







1913 წლის თბილისის რუკა



ქ. თბილისის ისტორიულ-საყრდენი გეგმა

დუტუ მეგრელის ქუჩის განაშენიანება

სახლი №3

კერძოდ, დუტუ მეგრელის ქუჩის №№1-5 რეგისტრირებული შენობები ძირითადად XXს-ის 70-იან წლებში ჩატარებული ძველი თბილისის სარესტავრაციო სამუშაოების ნიმუშებია. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმაზე შენობები №1 და №3 ძეგლის სტატუსით არის აღნიშნული, რეალურად ავთენტურად შემორჩენილი კედლები მხოლოდ №3, - ქუჩის მხარეს მიმართულ ნაწილს გააჩნია. ეს XIX საუკუნის II ნახევრის შენობა თავისი ფასადის ელემენტებითა და ინტერიერის შემორჩენილი დეტალებით თბილისში გავრცელებული კლასიცისტური არქიტექტურის დამახასიათებელი ნიმუშია.





ფასადის ნაწილთან ერთად ავთენტურია სახლის სადარბაზოს ხის კიბე და ფართო მორკალული თავსართიანი ნიშები. ამ ნაწილის თავდაპირველობას ამტკიცებს აგურით ნაშენი კედლების სისქე, ხოლო კლდის მხარეს მიმართული იგივე სახლის ოთახები უკვე თეთრი სილიკატური აგურით არის ამოყვანილი და სართულშუა გადახურვები ბეტონის ფილებს წარმოადგენს. ამდენად, მათი ღირებულება საკმარისად სათუოა.





სახლი №1

დუტუ მეგრელის №1-ით რეგისტრირებული შენობა მთლიანად XX საუკუნის 70-იანი წლების რეკონსტრუქციის ნიმუშია, თუმცა ძეგლის სტატუსი მაინც აქვს მინიჭებული. შენობა სამსართულიანია თბილისური აივნებით შემკული, როგორც ქუჩის მხარეს ისე სანაპიროს მხრიდან, მასში კაფე-ბარი, ბაღი ფუნქციონირებს. ტორეცის მხრით სახლი ღია სივრცისკენ არის მიმართული, რომელშიდაც საკმარისად მომხიბლავი ბაღია გაშენებული.





ადრე ამ ადგილას როგორც ძველი ფოტომასალიდან ირკვევა ასევე თბილისური ტიპის საცხოვრებელი სახლები იდგა, მაგრამ თავად განაშენიანება ბევრად უფრო ინტენსიური იყო და მთლიანად ფარავდა ლანდშაფტურ მონაკვეთს ძველი ციციანოვის დაღმართიდან ვიდრე ღვინის აღმართამდე. საბჭოთა რეკონსტრუქციის პროცესში ამ განაშენიანების ნაწილი ბარათაშვილის (ყოფილი ციციანოვის) აღმართის გაფართოებას შეეწირა. მათ შორის აღნიშნული ბაღის ტერიტორიაზე არსებული შენობებიც.



აღნიშნული ნაგებობა ე.წ. თბილისური საცხოვრებლის სტილური მიბაძვით არის გააზრებული, შესაბამისად იმდროინდელი რეკონსტრუქციის საკმარისად მწირი შესაძლებლობებისა. ამის შედეგად ის საკმარისად სქემატური და მონოტონური დეკორატიული მოტივებით არის შემკობილი (ისევე, როგორც მთლიანად მიკროგანაშენიანების ყველა ნაგებობა).

დუტუ მეგრელის ქ. №5

დუტუ მეგრელის №5 ამ განაშენიანების განაპირა შენობაა, რომლის ორსართულიანი მოცულობა ასევე კლასიცისტური რიგის ელემენტებით არის შემკული, სახლი მთლიანად სილიკატური აგურით არის აგებული და არ წარმოადგენს ისტორიულ ღირებულებას.




ამ ძირითადი მოცულობების გარდა განაშენიანებაში ჩართულია მცირე ერთსართულიანი აგურით ნაშენი დამხმარე მოცულობები, რომლებიც ასე ვთქვათ სიძველის იერს მატებენ რეკონსტრუირებულ მიკროუბანს.





სამწუხაროდ უკანასკნელმა რეკონსტრუქციამ ვერ გაუძლო მცირე დროით მონაკვეთს და უკვე უკიდურესად მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია ამას ხელი შეუწყო არსებული კლდის მასივის რღვევამ, რაც გამოწვეულია ამ ადგილის გეოლოგიური თავისებურებებით.







რეკონსტრუქციის პროექტი



XX საუკუნის 70-იან წლებში აღნიშნული განაშენიანების პროექტი შესრულდა გიგა ბათიაშვილის სახელოსნოში არქიტექტორ-რესტავრა-ტორების მალხაზ ლეკვეიშვილის და დავით ჟღენტის მიერ. ჩვენს მიერ კვლევაში ჩართულია იმდროინდელი პროექტის ფრაგმენტი და იმდროისთვის არსებული განაშენიანების ფოტოსურათი, საიდანაც კარგად ჩანს, რომ დღეს არსებული განაშენიანება თითქმის მთლიანად რეკონსტრუქციის შედეგია.






ასევე საარქივო ფოტომასალით დასტურდება, რომ აღნიშნული განაშენიანება XIX საუკუნის მიწურულიდან XX საუკუნის დასაწყისამდე ჯერ კიდევ ყალიბდებოდა და ე.წ. ბანიანი სახლების ნაცვლად აქ XX საუკუნის დასაწყისში უკვე ე.წ. თბილისური - ევროპული არქიტექტურის ნიმუშები იდგა.





მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა აგურით ნაშენი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი (აივნების გარეშე) და კლდის მასივზე, აგურისავე დამცველ კედელზე აშენებული კოშკის ტიპის საცხოვრებელი სახლი. საგულისხმოა, რომ ორივე ამ ვერტიკალურ მოცულობას ღია სივრცითი ელემენტები - აივნები და შუშაბანდები გვერდით - ეზო-ტერასების მხარეს მიმართულ ნაწილებზე ჰქონდათ განთავსებული, რაც განსაკუთრებულ ხასიათს ანიჭებდა არსებულ განაშენიანებას, ხოლო რეკონსტრუქციის შედეგად ამ ურბანულმა მონაკვეთმა მთლიანად იცვალა სახე და ხის შეკიდული აივნებით გაიხსნა მტკვრისკენ. რის გამოც მას ვფიქრობ ზედმეტად დეკორატიული ხასიათი მიენიჭა და დაკარგულ იქნა აგურით ნაგები კოშკისებრი მოცულობების თავდაპირველი მონუმენტური სწორედაც რომ ძველთბილისური იერი (გავიხსენოთ თუნდაც მტკვარზე გამავალი ქარვასლების საყრდენი აგურის კედლები)



რეკომენდაციები

დუტუ მეგრელის ქ. №1-5-ის რეკონსტრუქციის პროექტის განახორციელებლად სასურველია გათვალისწინებული იქნას შემდეგი რეკომენდაციები:

- ამ განაშენიანების ავთენტურობის კვლევის შედეგად გამოვლენილი ახალი (XX საუკუნეში რეკონსტრუირებული) კედლების დაშლა და მათი ხელახლა აშენება უფრო შესაფერისი მასალით აუცილებელია მათი მძიმე ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.
- როგორც ავღნიშნეთ ავთენტური მოცულობებიდან შემორჩენილია მხოლოდ სახლი №3-ის ნაწილი, რომლის გამაგრება და რესტავრაცია აუცილებლად მიგვაჩნია არსებულ განაშენიანებაში ისტორიული სიძველის შენარჩუნების მიზნით.
- ახალმა პროექტმა სასურველია გამოიყენოს ისტორიული ფოტოარქივის დოკუმენტები იმისთვის, რომ ხელახლა აღდგენილ განაშენიანებას ძველი ქალაქისთვის უფრო შესაფერისი და დამაჯერებელი სახე მიეცეს ვიდრე აქვს. ვფიქრობ აქცენტი უნდა გაკეთდეს კლდის თავზე ჯერ კიდევ ნაწილობრივად შემორჩენილი აგურის დამცავი კედლის და მის მიმდებარედ ადრე არსებული აგურისავე ვერტიკალური მოცულობების ირგვლივ.
- ხის შეკიდული აივნების მოტივი კვლავ გამოსაყენებელია, მაგრამ არა თვითმიზნურად არამედ ძალზე ფრთხილად და ზომიერად.
- განაშენიანების კლდის მხარეს მიმართულ სივრცითი პაუზები სასურველია გააზრებულ იქნას, როგორც ღია ტერასები, რის მაგალითები მრავლად არის იგივე მეტეხის მწკრივზე.
- განსხვავებით გასული საუკუნის რეკონსტრუქციისაგან ვფიქრობ აქ ყოველ მოცულობას განსაკუთრებული არქიტექტურული კაზმულობა და ინდივიდუალირი ხის დეკორატიული ელემენტები უნდა მიესადაგოს. აივნების სვეტები, მოაჯირები და შუშაბანდები სხვადასხვა მხატვრულ კომპოზიციას უნდა ქმნიდეს, ისე როგორც ისტორიულ ფოტოსურათებზე ჩანს.
- მიუხედავად იმისა, რომ განაშენიანების ადრე არსებული მორფოლოგია სახეცვლილია, ვფიქრობ მაინც შესანარჩუნებელია აქ უკვე ჩამოყალიბებული მცირე ლანდშაფტური მონაკვეთი (ბაღი).
- არსებული ურბანული მონაკვეთის შენარჩუნებისა და ხელახალი რეკონსტრუქციისათვის აუცილებელია კლდის მონაკვეთის საფუძვლიანი გამაგრება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, თუმცა მიკროლადშაფტის ვიზუალური აბრისი საურველი მინიმალურად შეიცვალოს.

ბიბლიოგრაფია

1. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917, თბილისი, ტ.1, 1960; ტ. II, 1961
2. თ. ბერიძე, და აღმოცენდა თბილისი, თბილისი, 1977.
3. თ. გერსამია, ძველი თბილისი, თბილისი, 1984.
4. თ. კვირკველია, ძველთბილისური დასახლებანი, თბილისი, 1985.
5. მ. მანია, რიყის არქიტექტურული განვითარების შესახებ. (მოხსენება სამეცნიერო კონფერენციაზე), თბილისი, 2010.
6. გ. ჭანიშვილი, თბილისი, რიყე, დუტუ მეგრელის ქუჩა, ფერდობი ღვინის აღმართთან. საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, თბილისი, 2008.
7. დ.ხოშტარია, მ.ხატიაშვილი. ღვინის აღმართის და დუტუ მეგრელის ქუჩის გადაკვეთასთან მდებარე ნაკვეთის მხატვრულ-სტილისტური კვლევა, თბილისი, 2011.

კვლევისთვის გამოყენებულია საარქივო მასალა ქალაქ თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებიდან (ქარვასლა), თბილისის რეკონსტრუქციის პროექტიდან (ავტორი გ. ბათიაშვილი), ძველი თბილისის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმიდან (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი) და პირადი არქივიდან.

ხელოვნებათმცოდნე ლ. ანდრონიკაშვილი